გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-63. 632324711**
თარიღი:**04/09/2023**

სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 718.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.331) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 40.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.332) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 24–ე მუხლის მე–2 პუნქტის, 108–ე მუხლის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 2023 წლის 21 მარტის №5/15813 მომართვის შესაბამისად, განიხილა სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 718.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.331) და სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 40.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.332) სახელმწიფოსთვის საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის საკითხი და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სახელმწიფოს საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაეცეს:

ა) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 718.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.331);

ბ) სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ბაშში მდებარე 40.00 კვ.მ სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი №34.09.46.332).

2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

ნუგზარ ჯამბურია

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი